

## **შპს „აგრო საწარმო“**

გურჯაანის მუნიციპალიტეტეში, სოფ. ჩუმლაყის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის  
გადამამუშავებელი, სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის ექსპლუატაცია

**სკრინინგის ანგარიში**

მომზადებულია: შპს „აგრო საწარმოს“ მიერ

ქ. თბილისი, 2022 წელი

## სარჩევი

1.	შესავალი.....	2
2.	ინფორმაცია საქმიანობის შესახებ.....	3
2.1	საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა .....	3
2.2	საწარმოს მიერ გამოყენებული მასალები და წარმოებული პროდუქცია .....	0
2.3	საწარმოს მიერ წარმოების პროცესში გამოსაყენებელი რესურსები .....	0
2.4	ტექნოლოგიური პროცესის აღწერა .....	0
2.5	დასაქმებულების რაოდენობა და სამუშაო რეჟიმი .....	1
2.6	ობიექტზე საჭირო ტექნიკის ჩამონათვალი .....	1
2.7	წყლის გამოყენება და ჩამდინარე წყლები .....	1
2.7.1	სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება.....	1
2.7.2	საწარმოო წყლით მომარაგება.....	2
2.7.3	სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მართვა .....	2
2.7.4	საწარმოო ჩამდინარე წყლების მართვა .....	3
2.7.5	სანიაღვრე წყლების მართვა .....	4
2.8	ნარჩენების წარმოქმნა და მისი განკარგვა .....	5
3.	გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში .....	5
3.1	საწარმოს საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით.....	5
3.2	ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობების ანგარიში .....	6
3.3	ემისიის გაანგარიშება ინერტული მასალის დასაწყობება-შენახვისას (გ-1).....	6
3.4	ემისიის გაანგარიშება სახარჯი ბუნკერიდან (გ-2).....	10
3.5	ემისიის გაანგარიშება ინერტული მასალის მსხვრევისას (გ-3) .....	12
3.6	ემისიის გაანგარიშება ლენტური ტრანსპორტიორიდან (გ-4).....	13
3.7	ემისიის გაანგარიშება ღორლის დასაწყობება-შენახვისას (გ-5).....	14
4.	ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება.....	19
5.	ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე .....	20
6.	ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე.....	20
7.	ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე .....	20
8.	სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება .....	20
9.	დანართი 1 - საწარმოს ტექნოლოგიური სქემა .....	0
10.	დანართი 2 - საწარმოს გენ. გეგმა გაფრქვევის წერტილების ჩვენებით .....	1
11.	დანართი 3 - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეარმეო რეესტრიდან .....	0
12.	დანართი 3 - მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან .....	2

## 1. შესავალი

ინდ. მეწარმე ნუგზარ წყაროზიას, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჩუმლაყის ტერიტორიაზე გააჩნია სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი, სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო, რომელიც მოეწყო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 1 ივლისის N2-1006 ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილების შესაბამისად.

აღნიშნული სკრინინგის გადაწყვეტილებით, საქმიანობა არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებას. შესაბამისად, ინდ. მეწარმე ნუგზარ წყაროზიამ მოამზადა და სამინისტროსთან შესათანხმებლად წარადგინა, საწარმოს მიერ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში, რომელიც შეთანხმებული იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 5 ნოემბრის N11494/01 წერილით. ამასთან, ინდ. მეწარმე ნუგზარ წყაროზიას სამინისტროში წარდგენილი აქვს ტექნიკური რეგლამენტი ზედაპირული წყლის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ამ ეტაპზე ინდ. მეწარმე ნუგზარ წყაროზია გეგმავს ზემოაღნიშნული, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო მფლობელობაში გადასცეს შპს „აგრო საწარმოს“, რომლის თანადამფუძნებელი და დირექტორი არის თავად ნუგზარ წყაროზია (იხ. დანართი 3 - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო რეესტრიდან).

შპს „აგრო საწარმოს“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთარი, ლიცენზირებული კარიერებიდან, შემვსები მასალის, სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და მისი რეალიზაცია.

ამასთან, ძველი სკრინინგის განცხადების და სკრინინგის გადაწყვეტილების თანახმად, საწარმოში ადგილი არ ჰქონდა წყალჩაშვებას, სალექარი ორმოდან წყალი მთლიანად ბრუნდებოდა საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში. ამ ეტაპზე კომპანია გეგმავს ცვლილებას, რის საფუძველზეც სალექარ ორმოში შეგროვებული და გაწმენდილი წყალი ჩაშვებული იქნება მდ. ჭერმისხევის ერთ-ერთ განშტოებაში.

ზემოაღნიშნული ცვლილების და „გრემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მეორე დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (სამსხვრევ-დამხარისხებელი) საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიშს. ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში N1

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „აგრო საწარმო“
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 33ე, ბინა 9
საიდენტიფიკაციო ნომერი	405417071
საქმიანობის სახე	სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩუმლაყი

## 2. ინფორმაცია საქმიანობის შესახებ

### 2.1 საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა

მიწის ფართობი, სადაც განთავსებულია ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ დამხარისხებელი დანადგარი წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწას, რომლის საკადასტრო კოდია: 51.09.56.141. მიწა წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, რომელიც გარიცხული აიღო შპს „აგრო საწარმომ“ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

ტერიტორია, წარმოადგენს მცენარეული საფარისგან თავისუფალ მიწას. შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაცია არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას. იგი დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია დაახლოებით 620 მ მანძილით. ამასთან, აღნიშნული ტერიტორია ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებიდან დაშორებულია 30 კმ მანძილით, ხოლო სატყეო დეპარტამენტის მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდიდან 4 კილომეტრით.


საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ დაახლოებით 84 მეტრში გაედინება მდ. ჭერმისხევი. შპს „აგრო საწარმოს“ მდ. ჭერმისხევზე გააჩნია სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) მოპოვების ლიცენზიები #10002049 და #10002160, გაცემული სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომელიც ასევე გადმოეცა ინდ. მეწარმე ნუგზარ წყაროზიასგან. ლიცენზირებული ობიექტი საწარმოს ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 45 მ მანძილით. შესაბამისად, ტერიტორიაზე ნედლეულის შემოტანა, ტრანსპორტირებით გამოწვეულ ზემოქმედებას გარემოზე და დასახლებულ პუნქტზე არ ითვალისწინებს. ხოლო, რაც შეეხება მზა პროდუქციის გატანას საწარმოს ტერიტორიიდან, მისი გატანა მოხდება ძარაგადახურული ავტომანქანებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ემისიების გავრცელება ატმოსფერულ ჰაერში.

სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს დანადგარები განთავსებულია ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის ფარგლებში. უშუალოდ დანადგარის განთავსების ტერიტორიის GPS კოორდინატებია:

N	X	Y
1	567920.924	4628030.242
2	567913.251	4628028.790
3	567866.209	4628019.190
4	567847.008	4628025.910
5	567802.847	4628023.990
6	567808.607	4628096.953
7	567849.889	4628099.833
8	567898.850	4628098.873
9	567926.691	4628080.632

საწარმოს ტერიტორიის ზედაპირი, მომიჯნავედ არსებული მდინარის გავლენის გამო წარმოდგენილია ქვიშა-ხრეშოვანი მასალით, შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ გვხვდება და მისი მოხსნის საჭიროება არ ყოფილა არც საწარმოს მწყობის პროცესში და არ არის გათვალისწინებული არც ექსპლოატაციის ეტაპზე. საწარმოს მოწყობის ეტაპზე, კულტურული მემკვიდრეობის რაიმე ნიმუში გამოვლენილი არ ყოფილა.

საწარმოს ტერიტორიაზე მისასვლელად გამოიყენება არსებული გრუნტის გზები, რომელიც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და ახალი გზის მოწყობა საჭირო არ არის.



სურ. 1 - ტერიტორიის სიტუაციური რუკა



სურ. 2 ტერიტორიის სიტუაციური რუკა

## 2.2 საწარმოს მიერ გამოყენებული მასალები და წარმოებული პროდუქცია

საწარმოში წლის განმავლობაში შესაძლებელია 220 000 კუბ.მ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამუშავება და პროდუქციის სახით 60 000 კუბ.მ ქვიშის და 150 000 კუბ.მ ღორღის მიღება.

აქედან გამომდინარე, საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა იქნება: 87.5 მ<sup>3</sup>/სთ, დღეში 8 საათიანი სამუშაო გრაფიკის შემთხვევაში 700 მ<sup>3</sup>დღ.დ, ხოლო წელიწადში (300 დღიანი სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით) 210 000 მ<sup>3</sup>.

საწარმო, მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში იმუშავებს წელიწადში დაახლოებით 300 დღეს, დღეში 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით. საწარმო წლის განმავლობაში გადაამუშავებს 220 0000მ<sup>3</sup> ნედლეულს, რის შედეგადაც მიიღებს 210 000 მ<sup>3</sup> მზა პროდუქციას სხვადასხვა ფრაქციების სახით.

## 2.3 საწარმოს მიერ წარმოების პროცესში გამოსაყენებელი რესურსები

საწარმო მოიხმარს ელექტროენერგიას, რისთვისაც გათვალისწინებული აქვს დენის საკუთარი, 400 კვტ. წარმადობის მქონე ტრანსფორმატორი, რომელსაც მოემსახურება ენერგომომარაგების ადგილობრივი კომპანია. იქიდან გამომდინარე, რომ ტექნოლოგიურად გათვალისწინებულია სასარგებლო წიაღისეულის სველი წესით გადამუშავება, საწარმო დღე-ღამის განმავლობაში მოიხმარს 1500 მ<sup>3</sup> წყალს, რომლის აღებაც დაგეგმილია სპეციალური ტუმბოს მეშვეობით, საწარმოს მიმდებარედ არსებული არხიდან, რომელიც წარმოადგენს მდ. ჭერმისხევის განშტოებას.

## 2.4 ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

საწარმო დანადგარი აღჭურვილია ინერტული მასალების სამსხვრევი და დამახარისხებელი დანადგარების სათანადო სრული კომპლექტაციით. მის შემადგენლობაში შედის შემდეგი ძირითადი დეტალები და კვანძები: მიმღები ბუნკერი, სამსხვრევი დანადგარი, დამხარისხებელი დანადგარი, ქვიშის სარეცხი დანადგარი და ლენტური ტრანსპორტიორი.

საწარმოს მუშაობის ციკლის აღწერა:

- დანადგარის ტერიტორიის მახლობლად, 45 მეტრში არსებული ლიცენზირებული კარიერიდან ბალასტის შემოტანა ავტოტვითმცლელებით;
- ბალასტის მიწოდება მიმღებ ბუნკერში;
- ბუნკერიდან მასალის გადატანა ჰორიზონტალურ საცერში;
- საცრიდან ქვიშის მიწოდება გამრეცხ დანადგარში;
- საცრიდან ქვიშა გამოცლილი მასის გადატანა სამსხვრევ დანადგარში;

6. სამსხვრევი დანადგარიდან დამსხვრეული მასალის გადაადგილება ჰორიზონტალურ საცერზე, გარეცხვა და დახარისხება სხვადასხვა ზომის ფრაქციებად.

საწარმოში ბალასტის გადამუშავებით წელიწადში საშუალოდ მიღება 210 000 მ<sup>3</sup> ქვიშის და ორღის სხვადასხვა ფრაქცია.

## 2.5 დასაქმებულების რაოდენობა და სამუშაო რეჟიმი

ობიექტის ფუქნციონირების ეტაპზე დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა, დაახლოებით 15 ადამიანი. ობიექტი წლის განმავლობაში იმუშავებს 300 დღე, დღეში 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით.

## 2.6 ობიექტზე საჭირო ტექნიკის ჩამონათვალი

ობიექტს მოემსახურება 4 ერთეული სატვირთო მანქანა, 1 დამტვირთველი და 1 ბულდოზერი. სატვირთო მანქანები აღჭურვილი იქნებიან ძარის გადასახური მოწყობილობით. აღნიშნული ტექნიკის საწავავით გამართვა მოხდება გურჯაანში არსებულ ავტოგასამართ სადგურზე. გარდა საწვავით გამართვისა, ობიექტის ტერიტორიაზე ავტომანქანების ტექნიკური გამართულობის კონტროლი, ზეთის შეცვლა და ა.შ დაგეგმილი არ არის. აღნიშნულ მომსახურებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში არსებული ტექ. მომსახურების ცენტრი.

## 2.7 წყლის გამოყენება და ჩამდინარე წყლები

### 2.7.1 სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება

ქვიშა - ორღის სამსხვრევ - დამხარისხებელ საწარმოში წყლის გამოყენება ხდება სასმელ - სამეურნეო, საწარმოო და ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებით.

საწარმოს სასმელი წყლით მომარაგება ხორციელდება ბუტილიზირებული სახით. ხოლო, სამეურნეო და საწარმოო წყალით მომარაგება - არხიდან, რომელიც წარმოადგენს მდ. ჭერმისხევის განშტოებას.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის რაოდენობა დამოკიდებულია დასაქმებული პერსონალის რაოდენობაზე და საწარმოს მუშაობის რეჟიმზე. საწარმოში დასაქმებულია 15 ადამიანი, ხოლო წელიწადში სამუშაო დღეების რაოდენობა შეადგენს 300-ს. ვინაიდან ერთ მომუშავე პერსონაზე სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის დღის განმავლობაში საჭირო წყლის რაოდენობად გათვალისწინებული 45 ლ, ანუ 0,045 მ<sup>3</sup> წყალი, ხოლო საშხაპის წყლის ხარჯი ერთი სამუშაო დღის განმავლობაში იქნება 350 ლ, ანუ 0,35 მ<sup>3</sup>. დღის და წლის განმავლობაში საწარმოში სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის ჯამური რაოდენობა იქნება:

**სასმელი წყალი:**

$$15 \text{ კაცი} \times 0,045 \text{ მ}^3/\text{დღ} = 0,675 \text{ მ}^3/\text{დღ}$$

$$0,675 \text{ м}^3/\text{დღ} \times 300 \text{ დღ} = 202.5 \text{ м}^3/\text{წელ}$$

**სამეურნეო წყალი:**

$$1 \text{ დღ} \times 0,35 \text{ м}^3/\text{დღ} = 0,35 \text{ м}^3/\text{დღ}$$

$$0,35 \text{ м}^3/\text{დღ} \times 300 \text{ დღ} = 105 \text{ м}^3/\text{წელ}$$

**ჯამურად სასმელ-სამეურნეო წყალი:**

$$202.5 \text{ м}^3/\text{წელ} + 105 \text{ м}^3/\text{წელ} = 307,5 \text{ м}^3/\text{წელ}$$

## 2.7.2 საწარმოო წყლით მომარაგება

საწარმო ბალასტს გადაამუშავებს სველი მეთოდით. პროცესის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება მდინარე ჭერმისხევის წყალი. საწარმო დღეში მოხმარს დაახლეობით 1500 მ<sup>3</sup> წყალს (187.5 მ<sup>3</sup>/სთ). მისი სამუშაო რეჟიმიდან გამომდინარე, წლიური 300 დღიანი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით წლის განმავლობაში მოხმარებული წყლის რაოდენობა იქნება 450 000 მ<sup>3</sup> ტექნიკური წყალი. სამსხვრევ-დამხარისხებული დანადგარის ტერიტორიაზე განთავსებულია ორკამერიანი სალექარი ორმო, სადაც მოხდება მოხმარებული წყლის შეგროვება და დალექვა. ორმოში შეგროვებული და გაწმენდილი წყალი ჩაშვებული იქნება მდ. ჭერმისხევის ერთ-ერთ განშტოებაში.

წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია:

X	Y
568061	4628034

საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკური წყალი ასევე გამოყენებული იქნება ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებით. საწარმოს სპეციფიკის გათვალისწინებით, საწარმოში ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის გამოყენებული წყლის წლიური ხარჯი არ აღემატება 50 მ<sup>3</sup>/წელ. შესაძლო ხანძრის შემთხვევაში წყლის აღება ასევე მოხდება სალექარი ორმოდან.

## 2.7.3 სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მართვა

საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების რაოდენობა იანგარიშება მოხმარებული წყლის 5%-იანი დანაკარგით, რაც შეადგენს:  $307,5 \text{ მ}^3/\text{წელ} \times 0,05 = 15.37 \text{ მ}^3/\text{წელ}$  (წლიური დანაკარგი) შესაბამისად, საწარმოში წლის განმავლობაში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის რაოდენობაა:

$$307.5 \text{ მ}^3/\text{წელ} - 15.37 \text{ მ}^3/\text{წელ} = 292.13 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

აღნიშნული წყლების შესაგროვებლად ტერიტორიაზე განთავსდება 10-15 მ<sup>3</sup> ტევადობის ჰერმეტული საასენიზაციო ორმო, რომელზეც ასევე დაერთებული იქნება ტუალეტის კანალიზაცია. ორმოს

გაწმენდა მოხდება შევსების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

#### 2.7.4 საწარმოო ჩამდინარე წყლების მართვა

როგორც უკვე აღინიშნა, ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი ტექნოლოგიური ხაზის დანადგარების მიერ გამოყენებული წყლის შეგროვება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ ორკამერიან სალექარ ორმოში.

ორკამერიანი სალექარი ორმოს GPS კოორდინატებია:

#	x	y
1		1 კამერა
2	567867.137	4628088.211
3	567866.978	4628098.315
4	567882.112	4628098.103
5	567881.954	4628087.890
		2 კამერა
1	567884.103	4628087.916
2	567883.945	4628098.010
3	567899.079	4628097.799
4	567898.920	4628087.586

ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობის დროს მოსალოდნელი 20%-იანი დანკარგის გათვალისწინებით (აორთქლება, ნედლეულის დასველება და სხვა), ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყლის საათური, დღიური და წლიური დანაკარგი იქნება:

$$187.5\text{m}^3/\text{სთ} \times 0.20=37.5\text{m}^3/\text{სთ}$$

$$1500\text{m}^3/\text{დღ.ღ} \times 0.20=300\text{m}^3/\text{დღ.ღ}$$

$$450\ 000\text{m}^3/\text{წელ} \times 0.20=90\ 000\ \text{m}^3/\text{წელ}$$

როგორც უკვე აღინიშნა სალექარ ორმოში შეგროვილი და გაწმენდილი წყალი ჩაშვებული იქნება მდ. ჭერმისხევის ერთ-ერთ განშტოებაში შემდეგ GPS კოორდინატებზე:

X	Y
568061	4628034

## 2.7.5 სანიაღვრე წყლების მართვა

მიწის ფართობი, სადაც მოწყობილია საწარმო, წარმოადგებს 28 874 კვ.მ-ს. თუმცა აღნიშნული ფართობიდან საწარმოს და მისი ინფრასტრუქტურული ობიექტებისთვის გამოყენებულია დაახლოებით 5000 კვ.მ ფართობი.

შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების რაოდენობის გამოსათვლელად გათვალისწინებული იქნა აღნიშნული გარემოება და სანიაღვრე წყლების გამოთვლა მოხდა 5000 კვ.მ ფართობზე.

აღნიშნულ ფართობზე მოსული ატმოსფერული ნალექები შეგროვდება საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულ სალექარ ორმოში. შეგროვებას დაქვემდებარებული სანიაღვრე წყლების რაოდენობის გაანგარიშება ხდება ფორმულით:

$$Q=10 \times F \times H \times K$$

სადაც:

$Q$  - არის სანიაღვრე წყლების მოცულობა  $\text{მ}^3/\text{დღ}$ .

$F$  - საწარმოს ტერიტორიის ის ფართობი, სადაც მოხდება სანიაღვრე წყლების შეგროვება ( $\text{ჰექტარში}$ ).

მოცემული საწარმოსთვის აღნიშნული ფართობი 5000  $\text{მ}^2$ -ია ანუ, 0,5 ჰა;

$H$  - ნალექების რაოდენობაა და მიღებულია სამშენებლო ნორმების და წესების „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01.05-08) მიხედვით, კერძოდ: გურჯაანის მონაცემების მიხედვით ნალექების მაქსიმალური რაოდენობა მიღებულია 802 მმ/წელ. ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი შეადგენს 84 მმ. წვიმის საათური მაქსიმუმი იქნება - 10 მმ.

$K$  - კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია საფარის ტიპზე და მოცემულ შემთხვევაში შეადგენს 0,09.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოში წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების რაოდენობა იქნება:

$$Q_{წელ}= 10 \times 0,4 \times 802 \times 0,09 = 288,72 \text{ } \text{მ}^3/\text{წელ}.$$

## 2.8 წარმოქმნა და მისი განვარგვა

**სახიფათო წარჩენები** - იქიდან გამომდინარე, რომ საწარმოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართვა არ მოხდება ობიექტის ტერიტორიაზე სახიფათო წარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. თუმცა ობიექტის ტერიტორიაზე განთავსებულია სახიფათო წარჩენების განთავსებისთვის შესაბამისი ჰერმეტული კონტეინერი. სახიფათო წარჩენის წარმოქმნის შემთხვევაში, მისი გატანა მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ.

**არასახიფათო წარჩენები** - საწარმოში, სასარგებლო წიაღისეულის რეცხვის შედეგად წარმოქმნილი წყლის სალექარში გაწმენდის შედეგად დარჩენილი ლამი, რომელიც დროებით დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე, გაიტანება პერიოდულად სარეალიზაციოდ (ძირითადად მისი გამოყენება ხდება დაზიანებული გზების ამოსავსებად, გზის და სხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოებში).

## 3. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი ექნება საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებას წარმოადგენს: არაორგანული მტვერი. იქიდან გამომდინარე, რომ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება ხდება სველი მეთოდით, მტვრის გამოყოფა მნიშვნელოვნად იქნება შემცირებული.

აქედან გამომდინარე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების ნორმირებულ მაჩვენებლებზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.

## 3.1 საწარმოს საქმიანობის ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს: არაორგანული მტვერი.

ცხრილ - 3.1 - ში მოცემულია საწარმოში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების კოდი, ზღვრულად დასამვები კონცენტრაციების მნიშვნელობები, გაფრქვევის სიმძლავრეები და საშიშროების კლასი.

ცხრილი 3.1 - მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

#	მავნე ნივთიერების დასახელება	კოდი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ) მგ/მ³		საშიშროების კლასი
			მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღელამური	
1	არაორგანული მტვერი	2909	0.5	0.15	3

საწარმო ვალდებულია ისე მოაწყოს თავისი საქმიანობა, რომ თავისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ დაცული იქნას ცხრილ - 3.1-ში მოყვანილი მაქსიმალური ერთჯერადი კონცენტრაციები, რისთვისაც საჭიროა ტექნოლოგიური რეჟიმის ზუსტი დაცვა.

საწარმოო ობიექტის მიერ გარემოში გამოყოფილ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში საშუალებას იძლევა მოყვანილ იქნეს საწარმოო ობიექტის ემისიის წყაროები და მათი ტერიტორიული განაწილება. აღნიშნული მახასიათებლების ჩამონათვალი ქვემოთაა მოცემული, ხოლო ტერიტორიული განაწილება საწარმოს გენ-გეგმაზეა დატანილი.

### 3.2 ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობების ანგარიში

საწარმოს გენ.გეგმიდან და ტექნოლოგიური სქემიდან ჩანს, რომ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს (ქვიშა-ლორდის წარმოება) მუშაობისას გარემოს დაბინძურების უმთავრესი წყაროებია: ინერტული მასალების შემოტანა-დასაწყობება, მიმღები ბუნკერი, განტვირთვის კვანძები ტრანსპორტიორთა სისტემების სახით (გადასამუშავებლად მასის სათანადო უბნებზე მიმწოდი კონვეირი), სამსხვრეველები, ქვიშის და ღორღის საწყობები.

გაფრქვევები გაიანგარიშება საწარმოს იმ მაქსიმალური დატვირთვისთვის, როცა ყოველწლიურად გადამუშავდება 220 000 მ³ სასარგებლო წიაღისეული (ინერტული მასალა) და პროდუქციის სახით მიიღება მიახლოებით 30 % ქვიშა და 70% სხვადასხვა ფრაქციის ღორღი.

### 3.3 ემისიის გაანგარიშება ინერტული მასალის დასაწყობება-შენახვისას (გ-1) ემისიის გაანგარიშება დასაწყობებისას

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [6,7] ფხვიერი მასალების გადატვირთვა ხორციელდება ჩამტვირთავი სახელოს გარეშე. ადგილობრივი პირობები - საწყობი ღიაა ოთხივე მხრიდან. ( $K_4 = 1$ ). მასალის გადმოყრის სიმაღლე-1,0 მ. ( $B = 0,5$ ). ზალპური ჩამოცლა ავტოთვითმცლელიდან ხორციელდება მასალის 10 ტ-ზე მეტი მასით ( $K_9 = 0,1$ ). ქარის საანგარიშო სიჩქარეები, მ/წმ: 0,5 ( $K_3 = 1$ ); 9,8 ( $K_3 = 1,7$ ). ქარის საშუალო წლიური სიჩქარე, მ/წმ: 3,6 ( $K_3 = 1,2$ ).

დამბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში №3.3.

**ცხრილი №3.3 - დამბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები**

დამბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2902	შეწონილი ნაწილაკები (მტვერი)	0,075	0,338

საწყისი მონაცემები დამბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში №3.3.1.

**ცხრილი №3.3.1 - გაანგარიშების საწყისი მონაცემები**

მასალა	პარამეტრი	ერთდროულობა
ინერტული მასალა	გადატვირთული მასალის რ-ბა: $G_y = 200 \text{ ტ/სთ}$ ; $G_{წ} = 352000 \text{ ტ/წელ}$ . მტვრის ფრაქციის მასური წილი მასალაში: $K_1 = 0,04$ . მტვრის წილი, რომელიც გადადის აეროზოლში: $K_2 = 0,02$ . ტენიანობა $<10\%$ ( $K_5 = 0,1$ ). მასალის ზომები 500-100 მმ ( $K_7 = 0,2$ ).	+

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე, საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ:

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$M_{GP} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot K_9 \cdot B \cdot G_y \cdot 10^6 / 3600, \text{ გ/წმ}$$

სადაც,

$K_1$  - მტვრის ფრაქციის (0-200 მკმ) წონითი წილია მასალაში;

$K_2$  - მტვრის წილია (მტვრის მთლიანი წონითი წილიდან), რომელიც გადადის აეროზოლში (0-10 მკმ);

$K_3$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს;

$K_4$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, კვანძის დაცულობის ხარისხს გარეშე ზემოქმედებისაგან, ამტვერების პირობებს;

$K_5$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

**K<sub>7</sub>** - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ზომებს;

**K<sub>8</sub>** - შემასწორებელი კოეფიციენტი სხვადასხვა მასალისათვის გრეიფერის ტიპის გათვალისწინებით, სხვა ტიპის გადამტვირთავი მოწყობილობების გამოყენებისას **K<sub>8</sub> = 1**;

**K<sub>9</sub>** - შემასწორებელი კოეფიციენტი ზალპური ჩამოცლისას ავტოთვითმცლელიდან.

**B** - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გადმოყრის სიმაღლეს;

**G<sub>q</sub>** - გადასატვირთი მასალის რ-ბა სთ-ში, (ტ/სთ).

მტვრის ჯამური წლიური ემისიის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$\Pi_{TP} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot B \cdot G_{rod}, \text{ ტ/წელ}$$

სადაც **G<sub>rod</sub>** - გადასატვირთი მასალის წლიური რ-ბა, ტ/წელ;

ატმოსფერულ ჰაერში დამბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

შეწონილი ნაწილაკები (მტვერი)

$$M_{2902^{0.5}} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 1 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,2 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 200 \cdot 10^6 / 3600 = 0,0444444 \text{ გ/წმ};$$

$$M_{2902^{0.3}} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 1,7 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,2 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 200 \cdot 10^6 / 3600 = 0,075 \text{ გ/წმ};$$

$$\Pi_{2902} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 1,2 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,2 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 352000 = 0,338 \text{ ტ/წელ}.$$

მე [5]-ეს დანართ 117-ის მიხედვით:

$$0,075 \cdot 0,4 = 0,03 \text{ გ/წმ}; 0,338 \cdot 0,4 = 0,135 \text{ ტ/წელ}.$$

#### ემისიის გაანგარიშება შენახვისას

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [6,7] დამბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში №3.3.2.

#### ცხრილი №3.3.2- დამბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

დამბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2902	შეწონილი ნაწილაკები (მტვერი)	0,042	0,032

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის გაანგარიშება ფხვიერი მასალის შენახვისას ხორციელდება ფორმულით:

$$M_{XP} = K_4 \cdot K_5 \cdot K_6 \cdot K_7 \cdot q \cdot F_{pa\beta} + K_4 \cdot K_5 \cdot K_6 \cdot K_7 \cdot 0,11 \cdot q \cdot (F_{\pi\pi} - F_{pa\beta}) \cdot (1 - \eta), \text{ გ/წმ}$$

სადაც,

**K<sub>4</sub>** - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, კვანძის დაცულობის ხარისხს გარეშე ზემოქმედებისაგან, ამტვერების პირობებს;

**K<sub>5</sub>** - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

**K<sub>6</sub>** - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილს;

**K<sub>7</sub>** - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ზომებს;

**F<sub>paσ</sub>** - ფართი გეგმაზე, რომელზედაც სისტემატიურად მიმდინარეობს დასაწყობების სამუშაოები,  $\text{m}^2$

**F<sub>πτ</sub>** - ამტვერების ზედაპირის ფართი გეგმაზე,  $\text{m}^2$ ;

**q** - მტვრის კუთრი ამტვერების მაქსიმალური სიდიდე,  $\text{g}/(\text{m}^2 \cdot \text{s})$ ;

**η** - გაფრქვევის შემცირების ხარისხი მტვერდამხშობი სისტემის გამოყენებისას.

კოეფიციენტ **K<sub>6</sub>**-ის მნიშვნელობა განისაზღვრება ფორმულით:

$$K_6 = F_{maxc} / F_{πτ}$$

სადაც,

**F<sub>maxc</sub>** - საწყობის მაქსიმალურად შევსებისას დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის ფაქტიური ფართია საწყობის მაქსიმალურად შევსებისას,  $\text{m}^2$ ;

მტვრის კუთრი ამტვერების მაქსიმალური სიდიდე განისაზღვრება ფორმულით:  $\text{g}/(\text{m}^2 \cdot \text{s})$ ;

$$q = 10^{-3} \cdot a \cdot U^b, \text{ g}/(\text{m}^2 \cdot \text{s})$$

სადაც,

**a** და **b** – ემპირიული კოეფიციენტებია, რომლებიც დამოკიდებულია გადასატვირთი მასალის ტიპზე;

**U<sup>b</sup>** - ქარის სიჩქარე,  $\text{m}/\text{s}$ .

მტვრის ჯამური წლიური ემისიის გაანგარიშება ფხვიერი მასალის შენახვისას ხორციელდება ფორმულით:

$$\Pi_{XP} = 0,11 \cdot 8,64 \cdot 10^{-2} \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_6 \cdot K_7 \cdot q \cdot F_{πτ} \cdot (1 - \eta) \cdot (T - T_a - T_c) \text{ ₪}/\text{წელ};$$

სადაც,

**T** – მასალის შენახვის საერთო დრო განსახილველ პერიოდში (დღე);

**T<sub>a</sub>** – წვიმიან დღეთა რიცხვი;

**T<sub>c</sub>** – მდგრადი თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი;

საანგარიშო პარამეტრები და მათი მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში №3.3.3.

### ცხრილი №3.3.3- საანგარიშო პარამეტრები და მათი მნიშვნელობები

საანგარიშო პარამეტრები	საანგარიშო პარამეტრების მნიშვნელობები
გადასატვირთი მასალა: ინერტული მასალა ემპირიული კოეფიციენტები, რომლებიც დამოკიდებულია გადასატვირთი მასალის ტიპზე;	$a = 0,0135$ $b = 2,987$
ადგილობრივი პირობები-საწყობი ღია ოთხივე მხრიდან	$K_4 = 1$

საანგარიშო პარამეტრები	საანგარიშო პარამეტრების მნიშვნელობები
მასალის ტენიანობა 10 %-დან 20 %-მდე	K5 = 0,1
დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილი	K6 = 1300 / 1000 = 1,3
მასალის ზომები – 50-10 მმ	K7 = 0,2
ქარის საანგარიშო სიჩქარეები, მ/წმ	U' = 0,5; 9,8
ქარის საშუალო წლიური სიჩქარე, მ/წმ	U = 3,6
გადატვირთვის სამუშაოების ზედაპირის მუშა ფართი, მ2	Fраб = 25
ამტვერების ზედაპირის ფართი გეგმაზე, მ2	Fпл = 1000
ამტვერების ზედაპირის ფაქტიური ფართი გეგმაზე, მ2	Fмакс = 1300
მასალის შენახვის საერთო დრო განსახილველ პერიოდში, დღ.	T = 366
წვიმიან დღეთა რიცხვი	Tд = 144
მდგრადი თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი	Tс = 10

ატმოსფერულ ჰაერში დამბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

შეწონილი ნაწილაკები (მტვერი).

$$q_{2902}^{0,5 \text{ გ/წმ}} = 10^{-3} \cdot 0,0135 \cdot 0,5^{2,987} = 0,0000017 \text{ გ/(\theta^2 \cdot \text{წმ})};$$

$$M_{2902}^{0,5 \text{ გ/წმ}} = 1 \cdot 0,1 \cdot 1,3 \cdot 0,2 \cdot 0,0000017 \cdot 25 + 1 \cdot 0,1 \cdot 1,3 \cdot 0,2 \cdot 0,11 \cdot 0,0000017 \cdot (1000 - 25) = 0,0000059 \text{ გ/წმ};$$

$$q_{2902}^{0,8 \text{ გ/წმ}} = 10^{-3} \cdot 0,0135 \cdot 9,8^{2,987} = 0,0123346 \text{ გ/(\theta^2 \cdot \text{წმ})};$$

$$M_{2902}^{0,8 \text{ გ/წმ}} = 1 \cdot 0,1 \cdot 1,3 \cdot 0,2 \cdot 0,0123346 \cdot 25 + 1 \cdot 0,1 \cdot 1,3 \cdot 0,2 \cdot 0,11 \cdot 0,0123346 \cdot (1000 - 25) = 0,042 \text{ გ/წმ};$$

$$q_{2902} = 10^{-3} \cdot 0,0135 \cdot 3,6^{2,987} = 0,0006195 \text{ გ/(\theta^2 \cdot \text{წმ})};$$

$$\Pi_{2902} = 0,11 \cdot 8,64 \cdot 10^{-2} \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 1,3 \cdot 0,2 \cdot 0,0006195 \cdot 1000 \cdot (366 - 144 - 10) = 0,032 \text{ ტ/წელ}.$$

მე [5]-ეს დანართ 117-ის მიხედვით:

$$0,042 \cdot 0,4 = 0,017 \text{ გ/წმ}; \quad 0,032 \cdot 0,4 = 0,013 \text{ ტ/წელ};$$

სულ, დასაწყობება+შენახვა (2902) იქნება:

გ/წმ: დასაწყობება + შენახვა	0,03	0,017	0,047
